11/06/2026

MES 8 26 0000703564

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 08.06.2026 წ;
სხდომის დაწყების დრო: 13:00 სთ;
სხდომის დასრულების დრო: 17:45 სთ;
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე ლეჟავა - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
ნატო შეროზია - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ჩიკვილაძე - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;
ნინო ლაბარტყავა - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
მაკა მაისურაძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსო, საბჭოს წევრი;
ნინო გიუაშვილი - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის - „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა“

გარემოს ჯანმრთელობის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
რონა პერტია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;
ნათელა ლურსმანაშვილი - ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის №15 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი, საბჭოს წევრი.
ნანა ათუაშვილი - ა(ა)იპ - კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მარი მიქაუტიძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თეა ცერცვაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ ბიბილაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო კაპანაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამარ ქევხიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
გოგა პარუნაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ცირა თარალაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
სოფიკო მიქაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:

1) ა(ა)იპ ქ. თბილისის №104 საბავშვო ბაგა-ბაღი:
ნადეჟდა ყოჩიშვილი - ბაღის დირექტორი

2) ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება
ალექდანდრე ჯანჯღავა - გაერთიანების დირექტორი;

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება - სენაკის N2 საბავშვო ბაღი:
თინაზი დარასელია - დაწესებულების ხელმძღვანელი;
ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება - სენაკის N4 ბაგა–ბაღი;
აზა ცაავა - დაწესებულების ხელმძღვანელი;
ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება - სენაკის N5 ბაგა–ბაღი:
თამარი გიგიბერია - დაწესებულების ხელმძღვანელი;
ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება - სენაკი, საბავშვო ბაღი „ოცნება"

რუსუდან ბოკუჩავა - დაწესებულების ხელმძღვანელი;
ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ გეჯეთის საბავშვო ბაღი;
თეა ოჩიგავა - დაწესებულების ხელმძღვანელი;

4. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

1) ა(ა)იპ ქ. თბილისის №104 საბავშვო ბაგა-ბაღი:
ანა კანჯარაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ნათია მუნჯიშვილი - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
ნათია თოთაძე - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
ალექსანდრე თათარიშვილი - (სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება - სენაკის N 2 საბავშვო ბაღი:
ა) მაკა ჭყონია- (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) თეა ქემოკლიძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) მარიამ ექვთიმიშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
დ) სალომე ბოჭორიშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება - სენაკის N 4 ბაგა–ბაღი;
ა) მაკა ჭყონია- (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) თეა ქემოკლიძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) მარიამ ექვთიმიშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
დ) სალომე ბოჭორიშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება - სენაკის N 5 ბაგა–ბაღი:
ა) მაკა ჭყონია- (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) თეა ქემოკლიძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) მარიამ ექვთიმიშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
დ) სალომე ბოჭორიშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება - სენაკი, საბავშვო ბაღი „ოცნება"
ა) მაკა ჭყონია- (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) თეა ქემოკლიძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) მარიამ ექვთიმიშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
დ) სალომე ბოჭორიშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ გეჯეთის საბავშვო ბაღი;
ა) მაკა ჭყონია- (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) თეა ქემოკლიძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) მარიამ ექვთიმიშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);

დ) სალომე ბოჭორიშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2026 წლის 8 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 13:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ ქ. თბილისის N104 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება - სენაკის N 2 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება - სენაკის N 4 ბაგა–ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება - სენაკის N 5 ბაგა–ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება - სენაკი, საბავშვო ბაღი „ოცნება“-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ გეჯეთის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

. არა

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ქ. თბილისის №104 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ანა კანჯარაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ქ. თბილისის №104 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 12 და 13 თებერვალს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 294. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 294 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ანა კანჯარაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა ცხელი წყლის მიწოდების შეფერხებასთან დაკავშირებით.

ა(ა)იპ ქ. თბილისის №104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორმა, ნადეჟდა ყოჩიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს „ბოილერი“, რომელიც არის დაბალი სიმძლავრის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმირებულია სააგენტო და უახლოეს პერიოდში მეორე „ბოილერი“ იქნება დამატებული.
საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი დაინტერესდა კვებითი ალერგიის მქონე ბავშვებთან დაკავშირებული მიდგომებით და დანა-ჩანგლის მოხმარების და ხელის დაბანვის უნარ-ჩვევების შესწავლის საკითხით.
ა(ა)იპ ქ. თბილისის №104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორმა, ნადეჟდა ყოჩიშვილმა აღნიშნა, რომ კვებითი ალერგიის მქონე ბავშვებთან დაკავშირებით სამზარეულოში სპეციალურად მომზადდება შესაბამისი საკვები. დაწესებულება იხელმძღვანელებს ჰიგიენის გზამკვლევით და შესაბამისი საკითხები პრაქტიკულად განხორციელდება გზამკვლევის მიხედვით.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის საკითხით.
ა(ა)იპ ქ. თბილისის №104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორმა, ნადეჟდა ყოჩიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ბრძანებით არის დამტკიცებული. ასევე, აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს მშობელთა სკოლა, სადაც ყველანაირი საკითხი განიხილება.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა აღმზრდელების რაოდენობის საკითხით.
ა(ა)იპ ქ. თბილისის №104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორმა, ნადეჟდა ყოჩიშვილმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს დამატებითი პერსონალის შერჩევა და სექტემბრიდან აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებული იქნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 13:57
დასრულების დრო - 14:07

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ქ. თბილისის №104 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 294-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის

1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ა(ა)იპ ქ. თბილისის №104 საბავშვო ბაგა-ბაღს 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 294-ით.
საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 8 ივნისისა.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (სენაკის N2 საბავშვო ბაღის) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, რონა პერტიამ, განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ აღზრდის გაერთიანების დაწესებულების სტატუსის მაძიებელთან მიმართებით ჰქონდა თვითაცილება, ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების სენაკის N2 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 30 და 31 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში.'' 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 90. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 70 ბავშვისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან,'' ხოლო მეოთხე სტანდარტი შ ეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.''
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა კედლების მთლიანობისა და სველი წესით დამუშავებასთან დაკავშირებული ხარვეზებით და ითხოვა განმარტება და ფოტომასალა მეტი თვალსაჩინოებისთვის.
სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტის, სალომე ბოჭორიშვილის განმარტებით, ჯგუფურ ოთახებში არის ბზარები და ნაწილაკების ცვენის საფრთხე, რაც შეიძლება სველი წესით დამუშავების შემთხვევაში გაუარესდეს.
საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი დაინტერესდა შენობის ინფრასტრუქტურის საკითხით და სასმელი წყლის ხარისხთან და მიწოდებასთან დაკავშირებული თემებით.
გაერთიანების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სასმელ წყალთან დაკავშირებით მიმდინარეობს დიდი ინფრასტრუქტურული სამუშაოები - წყალმომარაგების სრული სისტემის რეაბილიტაცია. რაც შეეხება შენობის ინფრასტრუქტურულ გამართულობას, ტენდერი უკვე გამოცხადებულია, არსებული პრობლემა მოიცავს წვიმის და წყლის ჩამოსვლით იატაკის დაზიანებას და არ არის კონსტრუქციული დაზიანება. შენობა საჭიროებს კოსმეტიკურ სამუშაოებს რომელიც ჩატარდება უახლოეს მომავალში.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა საშტატო განრიგთან დაკავშირებული საკითხით.
გაერთიანების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კონკრეტული საკითხი უკვე განხილულია, ეტაპობრივად მოგვარდება და მერიის დახმარებით შეუსაბამობა გასწორდება ყველა ბაღში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:56
დასრულების დრო - 15:07

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (სენაკის N 2 საბავშვო ბაღის) ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ განმარტა, რომ გარკვეული დეტალების დაზუსტებისათვის საბჭო საჭიროებს საკითხის დამატებით განხილვას და ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (სენაკის N 2 საბავშვო ბაღის) ავტორიზაციის საკითხის განხილვა გადაიდო 2026 წლის 15 ივნისს. დაწესებულების სტატუსის მაძიებელს დაევალა დამატებითი ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალის წარმოდგება და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის დასწრება დამაზუსტებელი პასუხებისთვის.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (სენაკის N 4 ბაგა–ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, რონა პერტიამ, განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ აღზრდის გაერთიანების დაწესებულების სტატუსის მაძიებელთან მიმართებით ჰქონდა თვითაცილება, ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების სენაკის N4 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 1 და 2 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში.”2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 90. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 75 ბავშვისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ

დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან'' ხოლო მეოთხე სტანდარტი შ ეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.''
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს წევრი ნინო გიუაშვილი დაინტერესდა შენობის ბზარების გამომწვევი მიზეზებით და წყალმომარაგების საკითხით.
გაერთიანების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ შენობას არ აქვს კონსტრუქციული ხასიათის დაზიანება და დაწესებულება წარმოადგენს შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემულ მდგრადობის დასკვნას. წყალმომარაგებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დასრულდა რეაბილიტაცია და შესყიდყული წყლის გამოყენების საჭიროება აღარ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:43
დასრულების დრო - 15:52

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (სენაკის N 4 საბავშვო ბაღის) ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ განმარტა, რომ გარკვეული დეტალების დაზუსტებისათვის საბჭო საჭიროებს საკითხის დამატებით განხილვას და ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (სენაკის N 4 საბავშვო ბაღის) ავტორიზაციის საკითხის განხილვა გადაიდო 2026 წლის 15 ივნისს. დაწესებულების სტატუსის მაძიებელს დაევალა მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის დასწრება დამაზუსტებელი პასუხებისთვის.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (სენაკის N5 ბაგა-ბაღის) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, რონა პერტიამ, განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ აღზრდის გაერთიანების დაწესებულების სტატუსის მაძიებელთან მიმართებით ჰქონდა თვითაცილება, ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების სენაკის N5 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 3 და 4 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში''. 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 60. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 60 ბავშვისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან,'' ხოლო მეოთხე სტანდარტი შ ეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.''
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა ინკლუზიური განათლების საკითხით. გაერთიანების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ჰყავთ სპეციალური მასწავლებელი.
კურიკულუმის ექსპერტმა, თეა ქემოკლიძემ აღნიშნა, რომ გაწერილი აქვთ ოჯახთან და თემთან საკომუნიკაციო გეგმა, ასევე გაწერილი აქვთ ცნობიერების ასამაღლებელი სემინარული შეხვედრა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:21
დასრულების დრო - 16:31

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (სენაკის N5 ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებას (სენაკის N5 ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60-ით.
საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 8 ივნისისა.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (საბავშვო ბაღი „ოცნება") ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, ნატო შეროზიამ.
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, რონა პერტიამ, განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ აღზრდის გაერთიანების დაწესებულების სტატუსის

მაძიებელთან მიმართებით ჰქონდა თვითაცილება, ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღ „ოცნებაში'' ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 5 და 6 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში''. 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 45. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 45 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან,'' ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.''
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავამ კითხვით მიმართა გაერთიანების ხელმძღვანელს, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული ორი სახიფათო ზონის, დაჭაობებული ტერიტორიისა და კიბის უჯრედის მოაჯირის გამოსწორების ვადების თაობაზე, რომელიც დაწესებულებას გაწერილი აქვს 24 თვიან პერიოდზე და რამდენად შესაძლებელია ვადაზე ადრე შესრულება.
გაერთიანების ხელმძღვანელმა, ალექსანდრე ჯანჯღავამ განმარტა, რომ დაწესებულებაში ეს ხარვეზები გამოსწორებული იქნება ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღწერილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებათან დაკავშირებული ხარვეზებით.

გაერთიანების ხელმძღვანელმა, ალექსანდრე ჯანჯღავამ განმარტა, რომ საკრებულოს მიერ დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შიდა რეგულაციებით განსაზღვრული მოთხოვნები არ არის თანხვედრაში და აღნიშნული საკითხის მოგვარება დაგეგმილი აქვთ საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის ჩართულობით.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა დაინტერესდა საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადებისა და სხვა თანამშრომლებთან გაზიარების პრაქტიკით.
კურიკულუმის ექსპერტმა, თეა ქემოკლიძემ განმარტა, რომ ინტერვიუს დროს გამოიკვეთა დაწესებულებაში თანამშრომლობითი კულტურის არსებობა, არასაკონტაქტო საათებში დღის გეგმების შემუშავების და აზრების გაზიარების მზაობა.
საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი დაინტერესდა სამედიცინო სივრცის მოწყობისა და შესაბამისი პერსონალის არსებობის საკითხით.
გაერთიანების ხელმძღვანელმა, ალექსანდრე ჯანჯღავამ განმარტა, რომ სივრცე შერჩეულია, კადრი ჰყავთ, რესურსით სრულად უზრუნველყოფას სჭირდება გარკვეული პროცედურები და გაწერილ ვადებში უზრუნველყოფენ ყველა საკითხის მოგვარებას.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა რეფერირების საკითხით.
გაერთიანების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ გაწერილი აქვთ პროცედურები ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, ასევე განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაკა ჭყონიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს გაწერილი ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მარეგულირებელი წესი და პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ იცნობენ აღნიშნული წესით განსაზღვრულ პროცედურებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:06
დასრულების დრო -17:09

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (საბავშვო ბაღი „ოცნება'') ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 45-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ა(ა)იპ

სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებას (საბავშვო ბაღი „ოცნება'') 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 45-ით.
საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 8 ივნისისა.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (სოფელ გეჯეთის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, რონა პერტიამ, განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ აღზრდის გაერთიანების დაწესებულების სტატუსის მაძიებელთან მიმართებით ჰქონდა თვითაცილება, ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში შემავალ სოფელ გეჯეთის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 7 და 8 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში''. 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 30. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან

მიმართებით შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან,'' ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.''
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა ინფრასტრუქტურის საკითხით.
გაერთიანების ხელმძღვანელის, ალექსანდრე ჯანჯღავას განმარტებით, პროცესი დაწყებულია, ძირითადი ნაწილი შესრულდება მიმდინარე წლის ზაფხულის პერიოდში, ხოლო უფრო მოცულობითი სამუშაოები შესრულდება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით.
საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი დაინტერესდა წყალმომარაგებისა და გათბობის საკითხით.
გაერთიანების ხელმძღვანელის, ალექსანდრე ჯანჯღავას განმარტებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით დღის წესრიში დგას გათბობის სისტემის მოგვარება. რაც შეეხება წყალს, სოფელში წყლის ანალიზი კეთდება წელიწადში ორჯერ და აღნიშნული პერიოდულობით განხორციელდება შემოწმება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:41
დასრულების დრო -17:43

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (სოფელ გეჯეთის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 30-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებას (სოფელ გეჯეთის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 8 ივნისისა.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 17:45 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე